ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №57 სხდომის ოქმი

2011 წლის 30 ნოემბერი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, ოთარ აბდალაძისათვის 6 თვის ვადით უფლებამოსილების ცნობის საკითხის განხილვა;
2. 2011 წლის 5 სექტემბრის აკადემიური საბჭოს №54 სხდომის ოქმისა და რექტორის ამავე წლის 9 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ აკადემიურ კონკურსში ა) სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე, ბ)განათლების ეკონომიკისა და მართვის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე, გ) ატმოსფეროს და ახლო კოსმოსის ფიზიკის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე, დ)შუა საუკუნეების ფილოსოფიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე შემოსული განცხადებების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა;
3. სატელევიზიო სასწავლო ცენტრის დირექტორის, ზურაბ ოშხნელის განცხადების განხილვა უნივერსიტეტიდან გამოყოფის შესახებ;
4. მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის, ქ. გოგილაშვილის მოხსენებითი ბარათის განხილვა სახელმძღვანელოსთან - ,,ბაზისური და კლინიკური ენდოდონტია“ დაკავშირებით;
5. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის ბიოქიმიისა და ნეირობიოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, ეკატერინე მიქაუტაძისა და ამავე ფაკულტეტის ანგლისტიკა/ამერიკანისტიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, ელენე ტატიშვილისათვის რეცენზენტების და სადისერტაციო საბჭოს განსაზღვრის შესახებ;
6. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის ფარგლებში SPSS -ისა და სტატისტიკის სასერტიფიკატო პროგრამების განხილვა და დამტკიცება;
7. საინჟინრო ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის ორი ძირითადი სპეციალობის და ერთი დამატებითი სპეციალობის მოდიფიცირებული პროგრამების „არქიტექტურა“ (მეიჯორი) და „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“ (მეიჯორ/მეინორი) განხილვა და დამტკიცება;

8. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული სატელევიზიო სასწავლო ცენტრის პროფესიული პროგრამის „ჟურნალისტიკა“ და თეატრალური ხელოვნების ცენტრის პროფესიული პროგრამების - „სასცენო ხელოვნების ოსტატი“ (IV საფეხური) და „სასცენო ხელოვნების ოსტატი“ (V საფეხური) ცვლილებების განხილვა და დამტკიცება;
9. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის, მეტაბოლური გენეტიკის თბილისის ინსტიტუტის (ს/კ205292182) ლიკვიდაციის საკითხის განხილვა;
10. ინსტიტუტებისათვის, ცენტრებისა და ლაბორატორიებისათვის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების პრინციპის განსაზღვრა;
11. „მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტისათვის“ „მოდერნულობის შესწავლის ინსტიტუტად“ სახელწოდების შეცვლის საკითხის განხილვა და დამტკიცება;
12. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში „მკვლევრის“ თანამდებობაზე დასაქმებული პირებისათვის დასაქმების პირობების განსაზღვრის შესახებ საკითხის განხილვა;
13. დეკანთა საბჭოს დებულების დამტკიცება;
14. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კერძო მეთოდიკების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე კონკურსის გამოცხადება;
15. ლიტვის პირველი პოსტსაბჭოთა პრეზიდენტის, პროფესორ ვიტაუტას ლანდსბერგისისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.
16. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული პრემიის 10 000 ლარის ყოველწიურად ქცევისა და შესაბამისი წლის საუკეთესო ქართული რომანის საკონკურსო პირობებისა და შეფასების კრიტერიუმების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია თევზაძე - სხდომის მდივანი;
3. ნიკოლოზ მაღლაფერიძე;
4. ოთარ აბდალაძე;
5. მალხაზ მაყაშვილი;
6. გიორგი მენაბდე;
7. გიგა ზედანია;
8. ბელა წიფურია;
9. ზურაბ თავართქილაძე;
10. რევაზ სოლომონია;
11. ივანე მურუსიძე;
12. გიორგი ბახტაძე.

2011 წლის 30 ნოემბრის აკადემიური საბჭოს ხდომაზე დადგინდა:

1. **დადგინდეს** - ცნობად იქნას მიღებული ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, ოთარ აბდალაძის უფლებამოსილება აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში 6 (ექვსი) თვის ვადით, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე.

2. **დამტკიცდეს** - შემოსული განცხადებების საფუძველზე აკადემიურ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდნენ შემდეგი პირები: ა) სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე - ნინო გოგიბერიძე, ბ) განათლების ეკონომიკისა და მართვის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე - ნინო ჭიაბრიშვილი, გ)ატმოსფეროს და ახლო კოსმოსის ფიზიკის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე - მაია თოდუა, დ) შუა საუკუნეების ფილოსოფიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ

საშტატო ერთეულზე - თამარ ცოფურაშვილი. აღნიშნულ პირებს შრომითი კონტრაქტები გაუფორმდეთ 3 წლის ვადით.

3. **დადგინდეს** - დაკმაყოფილდეს სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის დირექტორის, ზურაბ ოშხნელის განცხადება უნივერსიტეტიდან გამოყოფის შესახებ და ამის შესახებ წერილობით ეცნობოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.
4. **დადგინდეს** - მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფ. გიორგი მენაბდის მოხსენების საფუძველზე, რომელიც ეხებოდა სახელმძღვანელოს ,,ბაზისური და კლინიკური ენდოდონტია" თავისებურებებს და ნაშრომში ბრენდი სახელების მოხსენიებას, სახელმძღვანელოსათვის უნივერსიტეტის სახელისა და ლოგოს მინიჭების თაობაზე აკადემიურმა საბჭომ მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება.

5. **დამტკიცდეს** - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის ბიოქიმიისა და ნეირობიოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, ეკატერინე მიქაუტაძის სადოქტორო ნაშრომის - „ინოზიტოლების და ოლეამინდის ანტიეპილეფსიური თვისებების შესწავლა" რეცენზენტებად განისაზღვროს შემდეგი პირები: ლალი შანშიაშვილი - ასოცირებული პროფესორი ნეიროქიმიის მიმართულებით, მზია ჟვანია - ასოცირებული პროფესორი ნეიროანატომიის მიმართულებით, ნანა ჯაფარიძე - სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრი, ხოლო სადისერტაციო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: დავით მიქელაძე - სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სრული პროფესორი მოლეკულური ფარმაკოლოგიის მიმართულებით, ლალი შანშიაშვილი - ასოცირებული პროფესორი ნეიროქიმიის მიმართულებით, მაია ნოზაძე - ასისტენტ-პროფესორი მოლეკულური ნეირობიოლოგიის მიმართულებით, ია ჟვანია - ასცირებული პროფესორი ნეიროანატომიის მიმართულებით, ნინო ნაცვლიშვილი - ასოცირებული პროფესორი ნეირობიოლოგიის მიმართულებით, ელენე ჟურავლიოვა - ასისტენტ-პროფესორი ბიოქიმიის მიმართულებით, თამარ ბარბაქაძე ასისტენტ-პროფესორი მოლეკულური ფარმაკოლოგიის მიმართულებით. ხოლო ამავე ფაკულტეტის ანგლისტიკა/ამერიკანისტიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, ელენე ტატიშვილის სადისერტაციო თემისათვის - „აღწერა როგორც ტექსტის კომპოზიციური ერთეული და მისი დროებითი სემანტიკა მხატვრულ ნარატივში" რეცენზენტები განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: გურამ ლებანიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი, ნინო მატარაძე - ასოცირებული პროფესორი ფილოლოგიის მიმართულებით, ნათია ნემსაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხოლო სადისერტაციო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: ნინო ფირცხალავა - სრული პროფესორი ფილოლოგიის მიმართულებით, ნინო დობორჯგინიძე - სრული პროფესორი ფილოლოგიის მიმართულებით, რუსუდან ენუქიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.
6. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 28.11.11№03-15156/11 რეკომენდაციის გათვალისწინებით დამტკიცებულ იქნას სამაგისტრო და

სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის ფარგლებში SPSS-ისა და სტატისტიკის სასერტიფიკატო პროგრამები.

7. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 29.11.11№03-15206/11 დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე დამტკიცდეს საინჟინრო ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის ორი ძირითადი სპეციალობის და ერთი დამატებითი სპეციალობის მოდიფიცირებული პროგრამები „არქიტექტურა“ (მეიჯორი) და „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“ (მეიჯორ/მეინორი).

8. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 30.11.11№03-15241/11 დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით, თანდართული სახით დამტკიცდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული სატელევიზიო სასწავლო ცენტრის მე-3 საფეხურის პროფესიული პროგრამა „ჟურნალისტიკა“ და თეატრალური ხელოვნების ცენტრის პროფესიული პროგრამები „სასცენო ხელოვნების ოსტატი“ IV საფეხური და „სასცენო ხელოვნების ოსტატი“ V საფეხური.
9. **დამტკიცდეს** - ლიკვიდირებულ იქნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი მეტაბოლური გენეტიკის თბილისის ინსტიტუტი (ს/კ205292182).
10. **დამტკიცდეს** - 2012 წლისათვის ყოველი კვლევითი ინსტიტუტის, ცენტრისა და ლაბორატორიისათვის განისაზღვროს 2012 წლის დასახარჯი ფონდის მაქსიმალური რაოდენობა, რომლის ფარგლებშიც ინსტიტუტები, ცენტრები და ლაბორატორიები წარმოადგინენ კვლევით პროექტ(ებ)ს, მათ განიხილავს დეკანების საბჭო და მიიღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების ან არდაფინანსების შესახებ.

11. **დამტკიცდეს** - მოწონებულ იქნას მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტის პროფესორ გიგა ზედანიას ინიციატივა და აღნიშნულ ინსტიტუტს ეწოდოს „მოდერნულობის შესწავლის ინსტიტუტი“. საკითხი ცნობის სახით წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

12. **დამტკიცდეს** - „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მკვლევრის თანამდებობაზე დასაქმების პირობების შესახებ” წესი თანდართული დოკუმენტის მიხედვით.

13. **დამტკიცდეს** - „დეკანთა საბჭოს დებულება“ თანდართული დოკუმენტის მიხედვით.

14. **დამტკიცდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კერძო მეთოდიკების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამოცხადდეს ღია კონკურსი და შემოსული განცხადებები განიხილოს ფაკულტეტის საბჭომ.

15. **დამტკიცდეს** - ლიტვის პირველ პოსტსაბჭოთა პრეზიდენტს, პროფესორ ვიტაუტას ლანდსბერგისს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, პოსტსაბჭოთა საზოგადოებების

ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიენიჭოს საპატიო დოქტორის წოდება.

16. **დამტკიცდეს** – ლიტერატურული პრემია 10 000 ლარის ოდენობით გახდეს ყოველწლიური მოვლენა. 2011 წლის საუკეთესო ქართული რომანის საკონკურსო პირობები და შეფასების კრიტერიუმები დამტკიცდეს წარმოდგენილი დანართის მიხედვით, ხოლო ყოველი მომდევნო წელს გამოიცეს რექტორის ბრძანება კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო პირობებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

მაია თევზაძე